

თეატრი

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

29 ივნისი

გ ა მ ო ნ ი მ ა მ ა

№ 26

ს ვ ი რ ა ო ზ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სსი (3) მანეთი, სსგა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ც ლკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სსი შსური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ჯდრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ.“

რედაქცია სთხოვს იმ ხელის მოკრეფათა, რომელთაც დღემდის არ უამოუბანიათ ხედილი ფული დაუხმარონ და უამოუბანონ 1 ივლისამდე, თორავა პირველის ივლისის უამდეგა ვაჟეთის ვაგზა-ვანა მომსახრებთ.

ლექსები წროზით

ბუნდ ღამით მიუჩუბულ მუდროებაში შავი და მწარე ფიქრები შიშით და კრძალვით გარბიან და გაძვრბიან ჩემს საცლადო თავში... ვხედავ დიდს მინდრებს, ვხედავ დიდს მთებს, ვაგები და ვაგთა ჩრდილოები რაღაც მოუსვენრად ფუსფუსებენ, რაღაც ჭაზან-წვეეტაში არიან... რისთვის?

×

ვხედავ სოფლებს, დაბებს, ქალაქებს... მოგონებანი მიცხოვლდებიან... იქ, მასსოვს, დავიბადე, იქ დავიბადე ახსატად, იქ ვიზრდებოდი დედის ზინძმოდ, დედის ნუგეში! საიმწაწილე უფრო მწუხარე მქონდა ვიდრე მხიარული. ცხოვრების უსიციო ვიქვარ არ მომცხუბილა, აჩქეყანა და ჩქეყნის საქმე ფეხებზედ მეკიდა. ერთხელ, მასსოვს, ჩვენს სასლზედ საშინელმა გრიგადმა გაიარა... მომიკვდა დედა და მეც, ჩემი მუხობლის ქალისავით,

ობლად დავრჩი... დედა! რა ტკბილად ისმის ეგ სიტყვა, რადეუნი აზრია ამ სიტყვაში... დედა—უკვლავურია... ოჲ, დედა!

×

ჩემს ნორჩს თავს შავი ღრუბლები ჩამოაწვნენ, ეველაფერს დაეკარგა თავისი სიმშვენიერე, ხეებს ფოთლები მოსცვივდნენ, ბაღსკუბი გაყვითლდნენ, მიწამგლოვიარე სახე მიიღო, მეც ვგლოვობ! დამარხეს დედა—ზედ ლოდი დაადეს; მეც იმ შავ დღის შემდეგ გულზედ სულ ლოდი მაწვეს!

×

ზამთარია, თოვლი მოადის, დიდს შარავნად ურბები მოჭრიჭინებენ, სორავულობა მოაქვთ ქალაქისათვის... ჩემთვის ვი საიმწარე... ქარიშხალი ნამქერსა ჭერის... სახლები თეთრის სუღარით შემოხსენ. ცივა ეველგან. მეც აძცივდა. დედა არა მეყვს, მამა კერ მივლის, ნანინას კერ ვისძენ... ტირილი მსურს... ქარიშხალი გაჯავრებით დამუის. ჩემს გულშიაგ ქარიშხალია, სულის სიმები ღამის გამოწვევს. გულზედ რაღაც მწარე გამოუთქმელი გრძნობა მომწვეს—ვიღრჩვები... სუ-

ლი მესხეთებს, რა. ნეტავ დედა ცოცხალი იყოს, და-
მაშვილებდა, ნეტა ტირილი შექმელას ცოტად მანინ
დავდი მომეშეებოდა!



ვიზრდები ობლად,—ობლად ვარ, ვინ დამხედვს
პაწის ბავშვს, ვინა მოსიყვარულე ხელი გამივრდილებს
განცხლებულს შუბლს, ვინ მომივლის, ვის შეგებრალე-
ბა? მამას? მაგრამ არა, მამა კაცია, იმისი ჯღერსი ვერ
დამამშვიდებს, იმისი სიმღერა დედის ნახინას ვერ მო-
მაგონებს, ვერ მომაგონებს—ვერს!



ვიზრდები ობლად. გული გერძდება. მარტოობა
მსურს,—სულ მარტოდ-მარტო იმ ოთახში, სადაც დე-
და შეაღწერსებოდა, სადაც მისი ნახინა მესმოდა, სადაც
მის ვალთებში შეძინა...



გული არა ჩვეულებრივად სწყმის, მინდა სისინული,
გართობა, თავდავიწყება... მეზობლის ქალი ხშირად
მოუერთებს—მერე შეესტყობი—რონიებს გვინდა ცანცობა—
ისიც ჩემისთანა ობოლია. ვარგი არ იქნება, რომ გავი-
ცნო? რატომაც არ გავიცნობ! ის რომ ჩემსავით მწარე
უიქით ჭკუშ არის მომწვედელი. ეველა ჩემს დარდებს
გაგუზიანებს, ისიც თავის გულს გამისხნის. იქნება
ერთი-მეორეს ვუშველოთ.



მარა გავიცანი. რა გულ-ვეთილია! მისი თვალები
გულს მიხვნილებენ. მაგონდება დედი ჩემის ჯღერსი,
ესლა თითქმის ობოლი არა ვარ, რადან სიმშვიდეს
ვერძინებ—ესლა თითქმის დედის ვალთაში ვსივარ...
მინდა ვაკოცო, ვაკოცო ვიდეც. მისარის, მწყინს... ელ-
ველისფერი ერთად არეულ-დარეულია. ეველა მივევარს,
შთელია ჭკუყანა. ღხესანც მინდა და ტირილიც. ბედნიერი
ვარ? ლოცო, მეუბნება ჩემი, ჩემსავით ობოლი, მარა.



დრონი გარბიან, გრძნობები გუბდებიან. გული
ღხინს ეტებს. მწარე წარსული სიზმარსავით მაგონდება,
ხოლო გული ვი სულ ღხინს, ვნებათ დატბობას, თავ-
დავიწყებას თსოულობას. მეც ისე ვიჭრები, როგორც
გული მაბრძანებს. ვახინებ უსომოდ... დავიდალე!



მესიზმრება მარა, მისი უუუუნა თვალები, მისი
სეტყავი ზირის სახე, მისი ბავშური ცელქობა. მთავარი
შემამეურებს... აი მარცხ გამიხნდა ფანჯარაში... მესმის
მისი ტკბილი საუბარი, გრილი სიო ნახად ეღლამე-
ნება მის გიშრის თმებს. აი, გადაიქცენა, ვაკოცო...
გამევიძა—გათენდა. სიზრმები და მოგონებანი მყისვე
განქრნენ...

ღიას, ჩემი წარსული მწარეა, იმაშია ჩემი ბედ-
უბედობა, იმისგან მომდინარეობს ჩემი აწმყო, მომავ-
ლი ჩემი არ არს სასურველი. თვით ვი მე მოვიქნენ, დავ-
მანუნდი. დედა მომიგვდა, მარა სხვას წაწევა. ვინ მეტ-
ყვის, რომ ბედნიერი ხარო? არავინ. მარტო ვარ ობ-
ლად!...



ხელ დამით მიუხებულ მეუღრეობაში შევი და
მწარე ფიქრები შიშით, კრძალვით გარბიან და გამორ-
ბიან ჩემს საცოდავ თავში;—ერთი მეორეზედ უარესი მო-
გონებანი სულს მიხუთამენ, ტვინს მიდრეკენ. სახარო
ქარიშხალი თითქმის ატრიალებს ჩემს ანთებულს არსებას,
მაგრამ ეს მსოფლიო დროებითა, რომ შეძრევ სელახ-
ლად მომივიდას ტანჯვისა ჯლი. ზამთარია. თოვლი
მოდის. სმინავს ბუნებს, სეტყავი მსვე გამიხნდებო-
დეს!...

დედის პირში.

სელოვნება რუსეთში

ეველას, ვინც თვალ-ყურს ადევნებდა რუსულ
გაზეთ-ყურსალებს, ეცოდინება, რომ რუსეთში
არის ერთი გამომხედილი არტისტი-აქტრისტი ანტონ-
ბრენიოანი მიხეილ ვალენტინის ძე ლენტოვსკი-
ლენტოვსკის ისეთი სახელი გაუგარდა, რომ არამც-თუ
რუსეთში, არამედ უცხოეთშიაც იცნობენ მას, როგორც
ფრად გამჭრიახს და საქმის კაცს. ლენტოვსკი პატ-
რობიანსვე შეზრდილა სცენასზედ—და დღესაც იმპერა-
ტორის თეატრის არტისტად ითვლება. თუმცა სცენას
ათი წელიწადია რაც თავი დანებდა, მაგრამ სცენას მანინ
არ მოშორებია, იგი რამდენჯერმე ანტონბრენიოანად
ყოფილა, ბარემ სუთი თეატრი აუშენებია მისკოვში.

ვევლამ, ვინც ვი მოსკოვში ყოფილა, იცის „ლენტოკუსის თეატრი“, „ერმიტაჟი“, „სახლსო თეატრი“, რომლებიც დაბადებულან ლენტოკუსის შეცადინობით. 1882/3 წელს მ. ვ. ლენტოკუსი განაგებდა მოსკოვში სუთს თეატრს და პეტერბურგშიც ქმნიდა ოპერეტის თეატრი. უგრძელ-განვიკოთ ლენტოკუსი ისეთს წარმოდგენებს მართავდა, ისე აწეობდა თეატრის საქმეს, რომ თვით იმპერატორის თეატრსაც ევინებოდა სიმიდობაში და მართულობაში და კიდევ აწარმოებდა მათ. მაგრამ ნერვსავისა არ იყოს Солнце не вечно сияетъ, Счастье не вечно везетъ.

ლენტოკუსისაც დაუტრიალდა ჩარხი უკუღმად, ერთს მშენიერს დღეს სრულებით გაკატრდა, რის გამოც სატრუსადღში ამოეო თავი—ყველას ეგონა, რომ ლენტოკუსის ვარსკვლავი ამიერიდან არ გამოაუჩუნტავსო, მაგრამ რას არ იქს ადამიანის სურვილი! ამ დღეებში განსეთებმა ანრბეს მოსკოვის მცხოვრებლებს, რომ ასსნება ასალი თეატრი სასელად „ანტეოა“.

თურმე დაუღალავს და სულ მხნე ვ. ლენტოკუსის კიდევ განურსნასავს ბედის ცდა და აი კიდევ დანიშნულ დროზედ აუარებელი საღსი მოგროვდა ანტეის ბაღში. ყველგან ისეთი მორთულობა, ისეთი საქმის ცოდნა ეტეობოდა, რომ კაცი იფიქრებდა ზღაპრულ ქვეყანაში ვიმყოფებოო. ელექტრონიული სინათლე, გაზი, ვარდი, ყვავილები, ჩირაღდნები, მარმარილოს აუზები თვისის სიმშენიერით ნეტარებას უსასმდენს მყოფრებულს. დარეკეს ზირველი, საღსი დაიმარ თეატრის კარებისავე.

თეატრის ზაღაში ჟურ სელოდა—უეცრივ, თითქოს ჯადო-ქარმა უბრძანაო, ანთო ელექტრონიულის სინათლით დიდი და მშენიერი დარბაზი—საღსს ამის უკეთესი ვერც ვი წარმოდგინა თავის გონებაში. რაც-ვი შესამდეგელი იყო ადამიანისაგან, ყოველივე აღსრულეზაში მოეგანილი იყო. სამოცი კოსთათ ტიკინისავით ჩაცმული ბიჭები იდგნენ ყოველ კარების წინ. ათი-ოდე კონტროლიერები ისე შედიდურად გადმოიცქროდეს, თითქოს ჩინეთის ბადდისანი ყოფილიყვნენ. ორკესტრმა რამდენიმე მშენიერი არია, ამ დღისთვის შეთხზულნი, დაუგრა. რამდენიმე სნის შემდეგ საღსი მისგდა თავის შეცდომას და მთელი თეატრი შეიმარ ტამის გვრით და ყვარილით—სამ ათასი კაცამდე ერთათ ყვიროდა, ექკისი ათასი ხელა ერთათ სცემდა ტამს—ყველანი ყვიროდნენ: „ლენტოკუსი, ლენტოკუსი! გამოვიდა თვითონ მისეიდ ვადენტინის-ქე ლენტოკუსი—მაგრამ დაცალეს-და გამოსულა!... ერთის თვალის განსამსამებამდე მთელი სცენა ყვავილებით, თავიუღებით და გვირგვინებით აივსო, სიჩარულს და აღტაცებას სემსელ-

ვარი არ ქმნიდა. ქალი, კაცი, დიდი, პატარა ერთს გრძნობას აეტანათ, ერთს სურვილს აყოლიათ. ლენტოკუსიმ სიტყვა ითხოვა, სამი ათასი კაცი მისევე განსმდა: „ბატონებო! დაიწყო ლენტოკუსიმ, მე გავიწარდე მოსკოვში, მოსკოვში შევიქენი მე კაცად, მოსკოვშივე გადამსდა მე ერთი გამოუთქმელნი უბედურებანი. მე ვემსახურებოდი მოსკოვს და თქვენ, ბატონებო, პატრონათ, მე თავი და სახელი არ დამიზოცავს თქვენთვის. დრო იყო ისეთი, როდესაც მე მოსკოვის და თქვენს სამუღამოდ მოშორებას ვეფიქრობდი. დას, ბატონებო, მე მეგონა, რომ თქვენს მოშორებას მოვასერსებდი, მაგრამ ჯა, მე ისევე თქვენთან ვარ, თქვენს წინაშე. თვრამეტი მანთით მე დავიწეე ეს საქმე და რომ სედათ რა ავიშენო. მე სელ ასლათ მის ვარ თქვენი სამსახურისათვის—მე კშრომობ, გმეცადინობ, მე ვაკეთებ იმდენს, რამდენიც შესამდეგელია კაცისაგან!... დანარჩენი, ბატონებო... მაგრამ აქ ლენტოკუსის სმა გაუწედა—ატირდა და გავიდა სცენიდან. წარმოდგენის შემდეგ ერთმა გამოხენილმა ადოკატმა სიტყვა უთხრა ლენტოკუსის. საღსი დილით დამიშლა.

ამ დღეებში დრამატული ცნსურის კომიტეტმა განიხილა ასალი დრამა ბ-ნი რიშენისა „La Glu“, რომელიც გადუთარგმნია გ. მ. ნოტგაფტს. სასელად უწოდებია „გამაპატიურებელი“ ამ ფრად საინტერესო პიესამ დიდი ყურადღება დაიმსახურა კერპიულ სცენებზე და პირაუში ათას ორასჯერ წარმოუდგენიათ სსვა-და-სსვა სცენებზედ—საზოგადოთ, როგორც ამობებენ განსეთები, ეც პიესა ადვილი სათამაშოა და ადვილი დასადგმელი ყოველ გვარს სცენასზედ. რუსეთში ჟურ-ჯერობით არ წარმოუდგენიათ და ამ სახეში თურმე ლიტოგრაფიით იბეჭდება და მალე ეიდვასაც შეუდგება თეატრალური ბიბლეოტეკა ს. სანოიკინისა. ცნსოარისაგან წარმოდგენისათვის ეც პიესა ნება დართულია. არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენ დრამატულ კომიტეტს ევიდნა ეს პიესა და მომავალი სეზონისათვის რეპერტუარში შეეტანა.



ხალხური ზოგზია

(შეკრებული ს. ღონღასისაგან).

I

ბარსუდანა-შვილი გოგია
 ჭკვიანია და ბქენია.
 ორშაბათ დილა გათენდა
 ძუშა შაუარა ბევრია;
 წავიდა ეანის სამკალათ,
 მნაც დაუეუდა სველია.
 ხარსე კიღია სიაფა,
 თავით ბოლომდინ ჭრელია.
 დაჯდა, ნამკალი გაღესა,
 ფხასე აუსვა ცერია.—
 ტასტის გორს შემოურა,
 აქ შველი შემოჩვევია.
 დიდ გუბის ტბასედ მივიდა,
 წამოეშალა მტერია.
 მიხეს-მოხესა ლეკები,
 ორგორც ჯაგ-რცხილის წინელია.—
 იმ ურჯულთ ლეკებშია
 კოსტა ბელადი ერია
 გოგიას დასცა ტამბახა,
 სედ მოუკიდა გენია.
 გოგიას ასე გონია
 ვითომც წეილს აუფრენია.
 გოგიაი დატრიალდა,
 ვითომც მიძინო ჭრელია,
 გოგიას წითელი წვერი
 დიდ უბის ზირსედ ფენია.

II

ომარსანი რა წავიდა,
 ასე დაძრა დაღისტანი:
 ვით კამბეჩი დიდი ძალი—
 ალასანსა, რა მივიდა,
 შეიცადა წუთი ხანი.
 გომერისა სიღი გაღო,
 სედ გამოდიოდა ჯარი.
 გულიხანას ჯაგრი ჭირდა,
 ოქრო და ვერცხლი იქ არი.
 მოუხდა გულის ხანასა,
 ცისეს გადაუვლო თვალი.
 იქსი დღე-ღამე ესროლა,
 მეშვიდე დღეს უყო ძალი,
 ცისის გვერდში ნაღბი მიცა,
 შეაცალე ცალი მხარი.

შენ ჩემო შავო, კამბეჩო,
 რა დავაშავე შენსედა?—
 საფსულს გითიბე ბალასი
 სამთარს დაგაბი ქერსედა.

მიჭევე-მიჭევე მიჯნასაო,
 ნუ გადახვალ სხვისასაო,—
 თუ გადახვალ სხვისასაო
 ფული გეღვას ქისასაო!

ემგის შთა გადმოვიარე,
 ხმალი მოვიმარჯვიანე,—
 ასე ჩამოველ სოფელსა,

ძალდიც არ შვეხმინანე;
 ასე გავაღე ცხრა კლიტე,
 ერთიც არ დავახსნივალე,--
 გავსწვევიტე ბევრი თათრები,
 სანჯალი ვაპირივალე;
 არ გამიშვია მოამბე,
 სულ ისე გავატიალე!

შეკრებილი სოსიკოსკან

სალხური გამოცანები

- ა.-- თავი ბუს უგავს--თუნი წალადის,
 ნახტომი დევის ჭალასა.
- ბ.-- ზატარა რამ კურტანია,
 ასლოს ჭვირთის მოძტანია.
- გ. ჩანტა მამალი,
 ესდა ჭყამალი.
- დ.-- რწვილსედ ზატარა,
 კამბეზსედ დიდი,
 ნადველსედ მწარე,
 შაქარსედ ტბილი.
- ე.-- სმელიდგან სველი გამოდის,
 სველიდან მეტად მწარეა,
 ვინც იმასა გამოიცნობს,
 იგი არ არის მდარეა.
- ვ. წყალში ჩავა ნაუვიითა,
 სმას გაუშეებს სარვიითა,
 ღარბებმა შეინახოს
 ძარგალიტის თვალივითა.

(შეკრებილი ზემო იმერეთში სოსიკოსკან)

ასსნა სალხური გამოცანებისა *)

ა.—კური, ბ.—საჰვაბი, გ.—ლოკოქინა,
 დ.—აბრაშუმი, ე.—სათი, ვ.—კრანო.

ასსნა არითმეტიკული გამოცანებისა

- 1, კია ბოდის წვერზედ იქნება მეთე დღეს.
- 2 XIX-I = XX.
- 3, 1 X 1 = 1.

გელგბრისტიკა

ნ ი ს ს ა

(მოთხრობა დელოსა)

(გაგრძელება **)

მეორე დღეს სადამოს გამოვედი სასვირნოთ. ორტათ რო გავცოლდდი სახლს, ვილაც უმგზავსმა ბებერმა ქალმა გამომიარა გვერდით. მას ეტყობოდა რომ რაღაც სათქმელი ქონდა ჩემთან. მე მიეუბრუნდი ბებერმა გაიხედ გამოიხედა და, რა ნახა მახლობლად არაინ იყო, მითხრა გაფუქებული ინგლისურ ენაზე: „მამაცი ხარ“. ამ კითხვაზე მე გავიღიმე იმ მდელიდურობით და ამაყობით, როდესაც აღამიანს ამ გვარ კითხვას აძლევენ ხოლმე.

ბებერმა გააგრძელა: „ჩვენ ახლა მარტოდ ვართ; ნახვით ვერავინ გენახავს, რადგანაც საკმაოდ ბნელა. შენ გამომეყე მე, შუა გზაზე თვალებს ავიხვევ. საჭიროა, არ უნდა იცოდე სად მიდიხარ და ვისთან.“

მე დაეთანხმდი.

ბებერმა გაიღიმა და, ისეც უწნო, ეშმაკს დაემგზავსა. მე რაღაც ხმა ჩამძახოდა ყურებში „ნისსას“. ბებერი უეჭველად უნდა ყოფილიყო ნისსასგან გამოგზავნილი- მე საჩქაროდ შევედი ჩემს ოთახში და გამოვიტანე რევოლვერი. ზაიარა ხუთ-

*) დ. პეტლილი იუნენ № 25.

**) იხილე „თეატრი“ № 25.

მა წამმა და ჩვენ ვიყავით გზაზე. მე კარგად ვგრძობდი, რომ სისულელეს ჩავდიოდი, მაგრამ ზოგჯერ გაუსჯელად ჩადიხარ სისულელეს. ნისსა, — ეს უცნობი ქალი, უფლებდა მთელს სხეულს ში რალაც იღუმალის ძალით. მე ის ჯერ კიდევ კარკა არ მენახა და მეტად მსურდა მის დახლოებათ ვნახე. მისი მთანი თვალეები მიბნელებდა გონებას. მიწვავდა გულს. როცა ჩვენ მიუახლოვდით ღჯუფლის ხიდს ბებერი შეჩერდა, ამოიღო ჯიბიდან რალაც მოქსოვილი, რომლითაც ოსტატურად ამიხვია თვალეები. და მომკიდა ხელი. მე მივსდევდი მას თვალ-ახვეული საკმაოდ გრილ ჰაერზე შეეცეცე, რომ ჩვენ გავდიოდით მდინარეს. მარჯვნივ და მარცხნივ ისმოდა ხმა მოსვირნი ხალხისა. ჩვენში ის აზრიც არ დაბადებულა, რომ შევენიშნე ვისმეს. ბაიარა კიდევ რამოდენიმე წუთმა და ჩემი წინამძღვარი შეჩერდა; დაიწკრილა გასაღებმა და ბებერმა მითხრა „შებრძანდი!“ მეხუთე ფეხის გადადგმაზე მე ვიგრძენი ფეხ ქვეშ ნახი. ამ დროს ბებერმა მომაშორა თემლებიდან ასანვევი და ამ ნაირათ გავჩნდი პატარა ოთახში. რომელიც მშვენიერათ იყო მოწყობილი. — ოტა ხნის შემდეგ მომესმა ფეხის ხმა. მივედი კარებისკენ და წარმოვიდგინე ჩემი განცვიფრება და აღტაცება ერთათ ჩემს წინ იდგა ნისსა — ლამაზი ქალი, 16-17 წლისა. შავი თმა ჩინებულად მოჰფეროდა მას მხრებამდის. ხაზოვალთ პირის სახე, თვალ-წამწამი და ტუჩები გევანებოდა დახატულიაო. ის პირ-და-პირ მიყურებდა თავის ბრწყინვალე, დამშვიდებულის თვალეებით, მერმე მომიახლოვდა, მომკიდა ხელი და დამსვა საკარძელზედ.

— ჩემი ქმარი წავიდა ტეგერანში — მეუბნობოდა ანგლისურათ — თუ გსურსთ, ჩვენ შეგვხიდიან უშიშრათ გავატაროთ ეს დღეები სიამოვნებაში. ჩემს პასუხს აღარ მოუცადა — დაჰკრა დაღს ჯოხი და მოგვართეს ყავა. ნისსამ მიამბო რომ ის საშინლათ მოწყენილია. დიდი-ხანია შემნიშნა მე და შემომხნდა თავის ელვარე ნაზის თვალეებით; მერმეთ უცბათ მომეარდა და გარდამეხვია. ჩვენი ტუჩები შეერთდნენ. მე ტანში ყრუინტელმა გამიარა და გამაცივა; მეტის მეტი აღტაცებისაგან აღმოვრეულ დაუძლოურებამ გამიარა ძარღვებში, სწორეთ ამ დროს მოისმა ხმაურობა გვერდით ოთახში. მან საჩქაროდ გამომგლიჯა თავი; გასწორდა და აცახცახდა; მერმე მომბრუნდა და მითხრა: „დაიცადე“ და გავარდა

იმ ოთახში, საიდანაც ხმაურობა მოისმოდა. ხმაურობა მაინც არ შეწყვეტილა უფრო იმატა, მერმე ცოტა ხანს ბრძოლა და შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. ბაილო კარი და შემოვიდა ნისსა. მას ფერი დაკარგოდა და თრთოდა.

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა?!

— არაფერი, მომიგო მან მშვიდობიანათ. რამდენსამე ხანს უკან. მს ჩემი ქმარი იყო; ის უსათუოდ მოგვკლავდა ჩვენ და მე უმჯობესად დავინახე დამესწრო.

მე გავშეშდი და არ ვიცოდი რა მექნა.

ნისსა ზიზლით, შემომხნდა, მერმე დაუძახა მიგოს პატარა ხანს უკან შემოვიდა გოკო და მე, როგორც შეშლილი, გამოვიქეცი, არ ვიცი რა ნაირად ვნახე გამოსავალი. ქუჩებზე სისწრაფით მოვრბოდი და დაქანცული მოველი სახლში, გავიხადე ტანისამოსი და დავწევი.

III

მთელი ღამე არ დამეძინა. დილას როგორც იყო ცოტა მიმეძინა. სხვა-და-სხვა აზრებს წარმოდგენა მიფანტავდა: კეკუ-გონებას და სწავდა ჩემს ტენის. მე, ადვილათ შეიძლებოდა, გავხვეოდი ამ ისტორიას და ჩემს თანამდებობას სრულიად ბოლო მოვლებოდა, მთელი დღე გავატარე ძლიერ აღშფოთებაში, ყოველ წამს ველოდდი პოლიციას, თავდასმას, მაგრამ დღემ გაიარა, არავინ მოსულა. მერმე დილას მე თვითონ გარდავსწყვიტე წავსულიყავ სატრაპთან მახმეტ-აღასთან, რომ რამე შემეტყო მისგან.

მე შევედი კაბინეტში და ახმეტ-აღა დადუმებულ იჯდა დივანზე და აბოლებდა ყალიონს.

— ა, თქვენ ხართ! როგორ ბრძანდებით? სთქვა მან.

— ძარგათა ვარ — გმადლობთ.

— ახალი ამბავი ხომ არაფერი გაგიგონია?

— ახალი ამბ... ამბავი? არა, მე... მე არაფერი ვიცი.

— თქვენ გახსოვსთ ასთულოა, ის მდიდარი ვაჭარი? საწყალი უეცრივ დაიკარგა.

მე ვიგრძენ, რალაც მომაწვა ყელში; მაგრამ შევიმაგრე ჩემი მღლეარება, რომ არ დავფანტულიყავ და რამე მეთქვა.

— როგორ ის... ნუ თუ.. საკვირველია.

— საკვირველიცაა და მეტიც.

მახმეტ-ალამ როგორღაც ექვიანის თვალებით შემომხედა და სიცილით მითხრა:

— ასთუღოა უნდა წასულ-იყო თეგერანში და გაქრა უკვალოდ. მაზე არაფერი ისმის.

ღა მან მეორეთ შემომხედა. მერმე ცოტა ხანს სინუშე ჩამოვარდა, ბოლოს ამოუშვა ბოლი პირიდან და დაწყნარებულის, მშვიდობიანის სახით დაუმატა.

— არსად არის ასთუღოა. დიდ არს ალახი!...

გ. ხოშტარია.

უკანასკნელი დაცვა.

ახალ-გაზდა ვეკილი შლადიმირი, დაღონებული და დაქანცული, თავს ძლივს იმაგრებდა სკამზედ თავის მდიდრულად მორთულ კაბინეტში. ზამთრის მოკლე დღე ის იყო თავდებოდა, ოთახს ოდნავ სიბნელე მოჰრევოდა. მღუმარებით გარემოცულს, შლადიმირს თვალწინ წარმოუდგა მთელი თავისი წარსილი ცხოვრება, ოცნებამ სრულიად გაიტაცა... სიყმაწვილე, სოფელი, ნათელი მოგონებანი, .. ამათმა ხსენებამ მართლა და კეთილი და გამოუთქმელი აღტაცება დაატყო მის თვალებს. „შემდეგი? ადრე გამოეთხოვა ის სიკბაბუკეს, მის ოცნებებს, ადრე ჩაიყურყუმელავა ცხოვების მორევში, ძრიელ ადრე აღძრა მასში თავ-მოყვარეობა, ამყობა: „ან დუშაში, ან — სულ არაფერი; — დუბარა და იაგანი სიცოცხლეს მომიწყლავენო.“ ბრძოლა, გამარჯვება, დამარცხება, ცხოვრების უკმაყოფილება — აი რა იყო მისი წარსული; ამან შეჭრივა მის თმას ქალაჩა, ამან შეჭმატა მის შუბლს ჭმუნვით ხაზები. თუმცა ბოლოს გამარჯვებაც არგუნა ბედმა, მაგრამ რალა დროს? — მაშინ, როდესაც ცხოვრებასთან ბრძოლით დატანჯულს, ბედნიერების იმედიც-კი სამუდამოთ დაეხშო. მას სრულის გულით უყვარდა ყველა, ქალიც და კაციც. ოდესმე ბედნიერადც ჰგრძნობდა თავს, მაგრამ ეს ბედნიერება ისეთი დღე მოკლე იყო, რომ ეხლა სიზმარსაებრ ეჩვენებოდა. აი ეხლაც, მართალია სამუდამოთ გამოეთხოვა მას, მაგრამ მაინც კიდევ გაგიჟებით უყვარს. იგი უძღურია ამ გრძობას წინაღუდვას... ბედნიერება სამუდამოთ განაშორა გესლიანმა ქორმა, შურის ძიებაც კი არ შეუძლიან, არ შეუძლიან მაგიერი გადაუხა-

დას თავის გამაუბედურებლებს, არ ჰსურს ხალხის საჭორიკანოდ გახადოს ის სახელი, რომელიც ერთ დროს ლეთაებად მიაჩნდა და ეხლაც გაგიჟებით უყვარსა მაგრამ უნდა იცოდეთ ამავე დროს როგორს სძულთ ის ქალი!

შესავალ ოთახიდან ზარის ხმა მოისმა და ამდროს მსახურმაც შემოალო კარი.

— თქვენ, ბატონო, ვილაც კარგათ ჩაცმული ყმაწვილი კაცი გკითხულობთ, უეჭველად უნდა თქვენნი ნახვა, გვარი.კი არ მითხრა.

— სთხოვე...

ძაბინეთში შემოვიდა ლამაზის სახის ახალ-გაზდა კაცი, რალაც უსიაიოვნო, ფოლადებრ ცივი გამოთქმა ეცნეოდა მის თვალებს.

— მე ვინ არის?.. სიზმარში ხო არა ვარ? ჩემი დაუძინებელი მტერი პავლე ჩემთან მოდის!.. რისთვის, ნეტა რას ნიშნავს?..

— მაგიკირდათ?.. დაჯექით და ყური დამიდეთ, — უთხრა შემოსულმა. თქვენ ყოველთვის ამბობდით ხოლმე, რომ კაცობრიობისადმი მოვალეობას უპირატესობა უნდა მიეცეთ პირად ჩვენ გრძობა, სურვილზედაო, მას უნდა დავამორჩილოთ ჩვენი სიყვარულიც და სიმძულვარეცო, დამიმტკიცეთ, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვა არ იყო. თქვენ უნდა დაიცოთ უმანკო, უდანაშაულო კაცი. როგორც აქიმს, რომელსაც ავად-მყოფის შეგეღასა სთხოვენ, ნება არა აქვს უარით გაისტუმროს მთხოვნელი, ასეც თქვენ არა გაქვთ უფლება ამ საქმის აღების უარი მითხრათ. ნუ გამაწყვეტინებთ, უთხრა პავლემ. როდესაც შლადიმირს მოუთმენელი მოძრაობა შეატყო. აი ბრალ მდებელი ფურცელიც: მე სამართალში მიმცეს დანაშაულობა თაობაზედ. თუმცა წვრილმან გასამტყუენებელი საბუთებს მანდ ბევრს ჰპოვებთ, მაგრამ ყველაფერს სისულელეს; გარწმუნებთ რომ ადვილად შეიძლება მათი დარღვევა. ჩაუფიქრდით — და უეჭველად თქვენც ამ დასკენას გამოიტანთ. მხოლოდ პირუთნულად კი მოიქეცით!..

— მე არ მინდა, არ შემიძლიან თქენი დაცვა სხვას მიჰმართეთ ვისმე!..

— არა, თქენიქნებით, უეჭველად უნდა იყვეთ! სხვა ვეჭილზე თქვენ უფრო ბევრს სარგებლობას მომიტანთ მე. თქვენ სულ იმის ფიქრში იქნებით, რომ პირ უთნულად არ მომეპყრათ დამის გამო, შეძლების დავაზე, ყოველს ღონის ძე-

ბას მოიხმართ ჩემს გასამართლებლად. ამასთან, ხალხი დარწმუნებულია თქვენს პატიოსნებაზე და იმაზედაც თუ რამოდნათა გძულვართ. რაკი დაგინახამენ, რომ თქვენა ხართ ჩემი დამცველი, ჰაზრათაც არ ვის მოუვა ჩემი სიმტყუენე და ერთ ხმად გამამართლებს საზოგადოებას ჰაზრი. აი საქირო ქალღმერთი, მოიფიქრეთ, მე აღარ შეგაწუხებთ — მივდივარ.

ქარებში გასულმა დაუმატა:

— უარის თქმას ჩემი დანაშაულობა ხომ არ გიძლებთ, ან იქნება დარწმუნებული არა ხართ, რომ ვეკილს შეეძლოს კაციც ძლიევა?

მლადიმირი მთელი ორი თვე უჯდა პავლეს საქმეს. რამდენჯერ უნდოდა უარი ეთქვა—უკან დაებრუნებინა ქალღმერთი, მაგრამ რაღაც უცნაური ძალა იზიდავდა მას თავის მრწამსებისაკენ. დაწვრილებით, უნაკლულად შეისწავლა მან ეს საქმე, სრულის გულით უნდოდა დანაშაულების კვალი მიანც აღმოეჩინა, რომ უარის თქმის საბუთი ჰქონოდა, მაგრამ ამოდ: სრულიად წინააღმდეგსა ჰხედავდა, ყველა გასამტყუენავი საბუთები ირღვეოდნენ. ამ ხნებში პავლე რამდენჯერმე ეწვია მას და საქმეზედ ესაუბრებოდა პავლეს სიარული მლადიმირს წამებდ და მიაჩნდა რა რაღაცა გაშმაგებულის, არა ჩვეულებრივის სიმხნევით აგრძელებდა თვის თავის ტანჯვას: უკანასკნელ დღემდის პავლეს მიღებაზედუარი არ უთქვამს.

ძლივს, გასამართლების დღე დანიშნეს. ამ საყურადღებო საქმეზედ ხალხი ბლომათ შეიყარა

შერ-მიხდლოს, მლადიმირს საუცხოვოდ მიჰყავს პავლეს საქმე და რაღაც უცნაურად, გასაოცრად ჩურჩულებს მისი ხმა. ხანდისხანა ჰგონია, რომ ეს ვინც ლაპარაკობს თითონ-კი არა, ვიღაცა სხვა ვეკილიკაო. დაიწყეს გარჩევა.

წინანდელი თავ-გამოდებული, აღტაცებული ორატორი მლადიმირი აღარ არის აქა. მისი საუბარი ერთ გვარად განუწყვეტლივ მიჩუხჩუხებს, როგორც პატარა ან კარა. მაში მოისმის ცივი ჰკუსის შედეგი, გასაოცარი მართლ-მსჯელობა, რომელიც სრულიად აუქმებს მის მრწამსების ბრალს.

აი გაათავა. შემდეგ რაც მოხდა ბუნდათ-ლა ახსოვს. თავ მჯდომარის სტყევა... ნაფიცი მოსამართლენი გადიან... უარი... არა, დამნაშავე არ არის... ტაშის კერა... ბული ჰკენეს, სული უგუბდებ... ჩქარა აქედამ, შინ!, არა, ყველაფე-

რი მომეღანდა! მაგრამ ეს ვინ არის?“ პავლე თითქმის ფეხდა-ფეხ შეჰყევა მას კაბინეტში.

— ზადით... მაკმარეთ წამება, გადით მეთქი!

— მე მადლობის სათქმელად მოველ, სანამ მაგიერს არ გადაგიხდით სად წაეაღ!..

პავლე მიუახლოვდა ვეკილს, მას სიბოროტით დაუწყეს თვალებმა ელვა.

— მე შენ სატრფო წაგართვი და სწორეთ მე მაგისტრის მომიძულა იმან, მე კი ისევ მიყვარს.

მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ის შენზედ ხშირადა ფიქრობს, შენით ამაყოფს. შენ ხარ პატიოსანი, იდეალურად პატიოსანი ვეკილი. შენი სიტყვა მხოლოდ ნამდვილს სიმართლეს ესაჩილება, იგი ჰქუხს და ჰქექს მარტო არა დამნაშავეთა დასაცველად. დღეს მეც შემეხო მისი ძალა, სასამართლომ უდანაშაულოდ მიცნო და გამამართლა. მხლა-კი შემიძლიან ყველაფერი ვადვირო: ეგ საქმე ნამდვილად ჩემი მოხდენილია, ხა ხა ხა!.. გამადლობ, ჩინებულათ ლაპარაკობდი..

მლადიმირი მთლად გაყვითლებული, ღონე მიხდლი ერთის ხელით სტოლის კუთხე ჩაებლუჯა და ყველაფერს ყურს უჯდებს. შდა დააყენოს, გააწყვეტინოს და არ შეუძლიან. ბული საშინლათ აუჩქარდა, რაღაც შემოაწევა, ახრჩობს... თვალებში სიბნელე მოერივა... მიაჩერდა პავლეს სახეს. მის თვალებს; არა, ეს პავლე არ არის, ეს ვიღაც ვეშაპია უკაცური, საზარელი რამ... აგერ იმისაკენ მოიწევეს, უახლოვდება, საცა შთანთქმას კიდევ... მლადიმირი ინსტინქტიურად ეძებს რასმე თავის დასაცველად... ხელი გაიწვდინა, აი მაგრათ რაღაცას ჩაელო ხელი, შემოიქნია... მძივე ბრინჯაოს შამდალი სწორეთ საფეთქელში მოჰხვდა. ვიღაცას. პავლე ხმა ამოუღებლივ დაეცა, ერთოც არ ამოუყენესია. მის სიცოცხლე მოკლებულს სახეზე, როგორც ამ ნახევარს საათის წინ, მტრული ღიმილი შეჩერებულიყო. პავლეს თავზედ ადგა მლადიმირი და დასქერის ელდათ საესე და გონება შერყეულის თვალგებათ.

ფელეგონი

ქალის ფიქრები ვაჟ-კაცების საქმის შესახებ



რაც ჩემი ფიქრებით გატაცებული ვიყავი, ამ დროს შესობლის ოთხსიღამ ერთის ხსლად ჩამოსულის სმა მომესმა:

— რა ამაზა, თქვე დალოცვილებო—გაიძახდა ის—თქვენ აქ ვის იცის, რაებს არ ამტყვევთ თავსა, მამის როდესაც მამული გინდა—სელიდამ გვეცლება, საქონელი გინდა სელიდამ გვეცლება, სმართალი გინდა, შატოისსება-სელიდამ გვეცლება... სინიღისი სომ რაღა მოგასსენოთ!—ისე დასუფადავდა, რომ გროშის ფასად ღირს და სშირად ამ ფასადაც რომ გინდოდეს კასალება, მსურველს ვერ იშოვი... თქვენ-ვი წამოსულხართ, თქვე დალოცვილებო და, ღამისას, სული ამოგვამროთ: ტრიკუნისი უფრო ღიბურალება, თუ დელიანისია;—ბისმარკი უფრო მადლა სდგას, თუ გლადსტონია; ნეტარსსენებული ბავარიის კოროლი მართლა შესცდა ჭკუიდა, თუ ტილი შესწამეს; და სსვა და სსვა! არ ვიცი, ღმერთისი: ჩვენ დაგვიღია ზირი და თქვენ შემოტყუართ, როგორც მე თავურებს, აი, როდის იქნება, თუ სულ შევლა არა, შეღავათის მომცემა და სავიფლო რჩევა მანინ რამ გავიგონოთ, მავრამ, აბა, სხად არის?.. ოჰ, უიმედობაჲ!...

* *

სწორედ გითხრათ, უარესად ამირია დავთრები ამ სიტყვებში უფრო გამოტაცეს ფიქრებმა და არ ვიცოდი თავი როგორ შემიკავა, რომ, ცოტა მანინ, გამერკვია გაგონილი. მომაგონდა რუსეთის ერთი მღვდელ-მთავრის სიტყვა, რომლითაც მან აზნაურობას მიმართა: „ჭეშმარიტება ერთიაო—სთქა მან. მართს საგანზედ ორი სხვა-და-სხვა აზრის წარმოთქმა შეუძლებელია. თუ მოკამათეთა აზრი სხვა-და-სხვაობს ეს იმის ნიშანია, რომ ან ერთი ან არა დე ორივენი საკამთო საგანს ერთ-ნაირად ვერ ჰხედვენ, ჭეშმარიტებას ვერ ამცნევენ, ამბობენ, რომ კამათობა ჭეშმარიტების აღმომჩენი და იმის შემგნებელიაო. მს მართალია, მაგრამ ყოველთვის არა; საჭიროა ზოგიერთი პირობანი, ურომლოთაც ჭეშმარიტების აღმოჩენა, მით უფრო მისი შეგნება შეუძლებელია;

ლია; სწორედ ეს პირობანი ჩვენ არა გვაქვს, ამათა ერთ მოკლებულნი. მიქმნეთ მართალნი და ნუ ეზოგავთ ჩვენს თავს ამ ჭეშმარიტების გასადლიერებლად და ჩვენი მამულის ასალორძინებლად გამოვაშკაროთ ყოველივე ჩვენი ნაკლულევენება ღირსეულად.

ჩვენც ჩავხედოთ ჩვენს ცხოვრებას და ზირ-უოხსეულად დაეასხილოდ ჩვენი საზოგადოებრივი სენი, სენი არა თუ მთელი ხალხისა—არა, თუნდ ჩვენი ესტად წოდებული „ინტელიგენციისა:“ მას არა აქვს საჭირო სწავლა, თავის მოვალეობაზედ ცოტასა ჭეშმარიტებს და ადვილად უეურებს თავის მოთხოვნილებათა. აქედამ წარმოდგება მეორე უბედურება: უარ-ჭეოფა თავის ძალისა; ჭკარვავს ყოველსავე რწმენასა თავის თავის, მისი არსებობა უსაგნო არსებობა ჭხდება და, რა გასაკვირველია, რომ აქედამ ორი ნაბიჯი გადადგას ამისთანა კაცმა და ზირ-და-ზირ დადრეუსი, შვე-ფიქრუში და ბოლოს სრულს უიმედობაშაიც ჩაეარდეს იგი?..

* *

აბა, რა იმედები უნდა იქონიო კაცმა მამის, როდესაც ამის საშუალებად ერთი ერთს გაიძახის, მეორე—მეორესა, მესამე—მესამეს; ერთი მღვდლის იმედითა, მეორე—ექვს განყოფილების კლასისა, მესამე—თეატრისა, მეოთხე-ვის იცის რისა, და სსვა. ზირველს სელს უშლის მეორე, რადგან თავისი საშუალება უებრედ მიანისა; მეორეს-მესამე და ასე ამ გავრად. აბა, რა თანხმობას უნდა მოველოდეთ იქ, სხადც ოთხი-სუთი კაცია დაეყვანნი თავისას გაიძახიან! რა საკეთილ-საიმედო დასანუგეშო საშუალებები უნდა შემოიღონ ამათ საზოგადოებრივის ცხოვრების შესაცვლელად, როდესაც ჯეროვითონ ამათ არ გამოუვლევიათ კარგათ; რა არის უფლება, კანონი და მისი მოთხოვნილება, როგორი ზედ-მსედეკლობა საჭირო საზოგადოებრივის ცხოვრებაში: რა არის შატოისსება, ზრდილობა და სსვა? ყველა ამაგებში ვერ მოთანხმებულან და გაიძახიან კი: „არ გვიჭერებენ, არ გვიგონებენ!“... ოჰ ღმერთო!

* *

თავი-და-თავი უბედურება ჩვენი სწორეთაც ეს არის, რომ ვერ შევთანხმებულავართ ერთმანერთში ვერც შრომით და ვერც აზრით. დიდი შორს გამჭვრეტელობა არაა საჭირო, რომ სთქვას კაცმა, რა ბოლო მთელის ამ გვარს მდგომარეობას. არც ამ გვარის მდგომარეობა-

ბის მიხედვით ისე ღრმად ჩამანსული ჩვენს ცხოვრებაში, რომ უმთავრესი მათგანი მანინგ კანმა ვერ შეამჩნიოს, მხოლოდ საჭიროა ზირ-და-ზირ შევხედოთ მათ, როცა ისინი თვალში გვეჩვენებიან და დაუფიქრებელი.

თავი-და-თავი მიხეზი ჩვენივე ოჯახისა, ჩვენი აკვანი, განსაკუთრებით ესრედ წოდებულის „ინტელიგენციისა“, სდანც ემარწევილი ისე იზრდება, რომ ყოველსავე „მოცილობისა“ და „ველდებულობისა“ გაცნობასა ძალიან დაშორებულია; სმაგიეროდ იგი ვარჯით იცნობს სოღმე იმას, რაც მისთვის მოწითულაბის დროს, თუ სულ გამოუღვარი არა, იქამდის მომხერხებულია იმის ცხოვრებისა, რომ გაურჩეველად ეძლევა იმ საქმეს, რომელიც ყველასდ უწინ სელთ ჩაუჯარდება, ოღონდ კი „ზირადის ანგარიშებისათვის“ სასარგებლო იყოს.

ვისაც ჩვენი საზოგადო ცხოვრების გაცნობა ჰსურს, ყველასდ უფრო ადვილად შეუძლია გაცნოს იგი, თუ დააკვირდება ჩვენს კულტურას ერთის მხრით და სასამართლოებს მეორეს მხრით: გამოიკვლიეთ, რამდენი საქმეები ირჩევს, რა საქმეები, ვინ არის დამსახვენი, რა დანაშაულებს მიუძღვით და მასინს აწესიკო უზნობრივი მხარე საზოგადოებისა. საუბედურთო, ჩვენი დრო-გამოშვებითი გამოცემები ძლიერ გულ-გრილად ეტანებიან ამ გვარ ცნობების ბეჭდვას, თორემ შეტად თვალ-საჩინო ხასიათს ღვიზისაუღიო ჩვენი ცხოვრებისას.

* * *

გულ-გრილად ვუტყვირით ყველაფერს და ერთი მეორესდ ემატებიან ყოველს საქმეებში ჩვენი უზრუნველობა. საზოგადოებარ, რასაკვირველია, გახუმიებულია; თუ სადმეა რამდემ გამოკვლეული არა გვაქვს, ან თუ ვისმე სამართოს გამოკვლეული აქვთ, ჩვენ ვერ შეგვიტინია, ვერ შეგვითვისებია, რადგან თვითონ ამითი დამწეებიც ცალკე-ცალკე თავისკენ მიიწევენ.

იმ დროს, როცა ცხოვრების მოთხრობილებანი კარს მოკვდებოძიან და ისე არასხუნებენ, რომ ცხოვრება ირყენება, აზრები დასურდავებას ეძლევიან, ხული ეტყმა, რწმენა და იმედები სელთ ეტლევიან... დედას თავისი ქალი ერყვეება—იმის დარდიც არა აქვს; აქ ტრესლს უკვირებენ—არა უშავს რა, თუ მისა საწყალი მეზობელი ცის ანაზარს რჩება, თვითონ ხომ სელს მოიბობს; იქ ტარცვა-გლეჯაა; ავანკობა; კაცის მოკვდა ხომ კიტრად მიანხიათ—არც ამას უშავს რა; ყალბი საბუთებით სხვების გახუმიდურება?

დღეს ჩვენში აღარ არის ისეთი სამაგლობა, რომ გაკვარცის მანინგ, არა თუ გული შეგვიძრწუნოს; ერთი იმიტომ, რომ შეტად შეგვეყვარათ ყოველ გვარ სამაგელ მოკვლენათა ჩვენს ცხოვრებაში; მეორეც იმიტომ, რომ რომელიმე მოკვლენამ რომ რამდემ შთახეტილებს მოიღოს კაცსდ, საჭიროა კაცი ფხისული იყოს!

მაშო.

სიმღერა ვლადიკოროთა

(ღერმონტოვიდამ)

ბრძანებ თავს მომჭრი, ეს კარვად ძეჯერს.
კნებას, დამკიდებ სდღრნობელასე,
თვალებსა დამთხრი და მითი მსერს,
დამკვარვება ამ ქვეყანასე.

კინდა დამალაობ სახერობილეში,
დამიძობილებ ჭირთა და ვნებას,—
ან სანთლად მიხსმარ ბნელსა ღამეში,
თვალთო ისილავ ჩემსა ვაებას.
ან არა დამკლეჯ ნაწილ-ნაწილად:

ჩემის მმოვრითა კადამბე ყორნებს.
ან მიძცემ ზირში შეუბრალებლად
ტურნ-ფოცხვერს და სისხლის მწეურვალ ძელებს

არ შემიბრალებ! ეს კარვად ვიცო,
მწამს რომ ვედრებას არ გავიკონებ,—
მაგრამ გჯეროდეს და გწამდეს ფიცო;
ამ ჩემს აძე სულს ვერ დაიმონებ!

ნ. აღისუბრელი

Handwritten notes and signatures at the bottom right of the page, including the name "ნ. აღისუბრელი" and the date "29. 248".

სიმღერა

რამ ვაგახინა, ქალაო,
 ღერწმად აჭრილო წელშია?
 ნეტაენ ხელით შემასო,
 შენ რა ვარდი გქონ შევრდშია!
 რომ დავისოცნეთ, იქაცა
 კიდევ ციბოფნი შევდრებშია.



* * *

შენს იქით, ვინ სთქვა რა იუოს
 ქალი, კაცი და ქვეყანა?
 ოლომც კი შენთან მამოფე,--
 თუნდ ბინას დავსცდე თემთანა
 მოვევდე შენს დაუტირებლად,
 თუ შეგადარა მესესთანა!

* * *

თუნდ სრულად გასწუდენ ვარსკვლავნი
 მსემ ტანთ ჩაიცვას შავები,
 ისეც მსუობას მიხამენ
 შენი ფოფინა თვალები!

ვაჟა-ფშაველა

კრიტიკა და ბიბლიოკრიტიკა

წერილი რედაქტორთან

(სათავად-აზნაურო ბანკების გამო)

(გაგრძელება *)

ახალი გასამართლების შემოღებაც ამასვე ამ-
 ტკიცებს. მხლანდელი გასამართლების წესდების
 დაახლოებით მინაგვარი დასწერა ამ საუკუნის დამ-
 დევს მინისტრმა სპერანსკიმ, მაგრამ არამც თუ მი-

*) იხილეთ „თეატრი“ № 25.

სი დაწერილი წესდება მიღებულ-არ იქმნა, ეპგო-
 ნებ, იძულებულ იყო მინისტრობაზედაც უარი
 ეთქვა. ხომ ვერ ვიტყვიტ კარგი არ იყოფო, რაკი
 იმას დაედგებით, რომ რაც კარგია დღეს, გუშე-
 ნაც კარგი იქნებოდა და ხვალაც კარგი იქმნება.

ამასვე გვიმტკიცებს მსჯელობა რკინის გზის
 შემოღებაზედ. ამ 50 წლის წინეთაც იტოდნენ
 რკინის გზის სარგებლობა და ფრიად საჭიროც იყო
 მთავრობისათვის იმოდენა ჯარების და მათი საჭი-
 როების მოსაზიდად; ქვეყანასაც დიდს-ლაზათს და-
 სდებდა და ცხოვრებას გაუადვილებდა, აი, ამ გვა-
 რად: 1855 წელსა თბილისში ფუთი ფქვილი ხუთ
 მანეთად გაისყიდა და იმ დროსვე სამარის გუბერ-
 ნიაში ათ-შაურათაც არა ფასობდა. ამისთანა შორი-
 შორს ფასის უსწორ-მასწორობა აღარა ხერხდება
 იქ, სადაც რკინის გზა და ზღვები შემავრთებელად
 უძევს. მაგრამ რკინის გზა ეხლა ძლივს გააკეთეს
 და არა იმ დროს. სხვათა შორის უმთავრესი მიზე-
 ზი ამისი ის არის, რომ ჩვენ გასატანი ნაწარმოები
 ცოტა გექონდა, შემოსატანი ნაწარმოები ცოტა
 გექირდებოდა სადა ცხოვრების გამო, და ამ მცირე
 შემოსატან-გასატანით რკინის გზის მოძრაობაზედ
 საჭირო ხარჯი არ დაიფარებოდა.

ღანაშთენს ყოველს მაგალითს და საბუთს, მ,
 რედაქტორისაგან მოყვანილს, ერთი და იგივე პა-
 სუხი ეკუთვნის და მით ეს წერილიც შემოკლდება.

ორივე გუბერნიის თავდა-აზნაურები არაფერს
 შრომას არა ვართ შეჩვეულები და ფულს სასარ-
 გებლოდ ვერ ვხმარობთ, რა-გინდ გზითაც იყოს
 ნაშრომი. ამის მცოდნე თავდა-აზნაურთა არჩივს,
 რომ ქმების ნაცვლად მისადებელს ფულს ცოტა
 რამ გადავარჩუნოთ შემდგენისათვისო და ასეც შე-
 ასრულეს. ახლა ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, თუ
 როგორ ვასარგებლოთო ეს ფული. ამ კითხვამ
 თავდა-აზნაურნი ორ-ნაწილად გაჰყო: ერთ-მხარეს
 იყვნენ საქმის უცნობნი, განუსჯელოდ მოსწრაფე-
 ნი ყოველის ახლის შემოღებისა და მათ უძლო-
 დნენ წინ მადა-ყნოსვის დაყმაყოფილების მიმდე-
 ვარნი და მოიმედენი. მსენი შეადგენდნენ უმრავ-
 ლესობას; მეორე მხარეს იყვნენ გონიერნი და
 უანგაროდ მსურველნი თავდა-აზნაურთა კეთილ-
 დღეობისა. პირველნი სწრაფობდნენ ბანკების და-
 ფუძენებასა, თუმცა სხვა და სხვა მიზეზისა გამო,
 მეორენი კი არჩევდნენ მოცდასა ვიდრე ფულთან
 მტრობასა მეგობრობად შევეცელიდით და საზოგა-
 დო საქმეს ისე ფხიზლად და გულს მოდგინედ შე-

გებრძოდით, როგორც კარგი მკურნე თავის კერძო საქმესა. ამ შეცილების დრომ ორივე ემხარეს ჰქონდათ მხედველობაში, რომ ბანკებს ვაფუძნებთ საკუთრე ჩვენთვის და არა სხვა უმრავლესობისათვის გარეშე ჩვენსა, და ამიტომაც ერთნი საბრხედ და საწამლადად ჰხდადენენ ბანკებს, და სხვანი კი თავდაზნაურთა გაჭირვების წამლად უწოდებდნენ. მოკლედ ვსთქვათ: წამლად იქმნებოდა ბანკი თუ საწამლადად, საკუთრე თავდაზნაურებისათვის იქმნებოდა, და თუ თვისსა გარეშე სხვა უმრავლესობა სახეში ეყოლებოდათ, მაშინ სიტყვა მოკლედ ითქმოდა და ამდენი ლაპარაკი არ დასჭირდებოდათ.

რადგან „ივერიის“ რედაქტორი იგივე ბანკის მმართველობის თავ-მჯდომარეა და გარემოების უცოდნელობას ვერ მივაწეროთ, მცოდნესაგან კი აყინება, რომ თუ ვინმე ფულის მოვლა არ იცის, ბანკი რა შუაშიაო; რომ საპოლიტიკო ეკონომიაში არსებობსო რკინის კანონი, რომლის ძალითაც ქონება უთუოდ გადადის უსაქმური პატრონისაგან მხედ-მომქმედ პატრონთან; რომ ზოგსა თუ სწყენს ბანკი, ამით მისი უდროობა არა მტკიცდება, რადგან უმრავლესობასა ჰრგებს, რომ მცენიერება და გულ-დასმითი მსჯელობა ყველგან სარგებლობას ამტკიცებენ სადგილ-მამულო კრედიტისას და ჩვენ-შიაც სასარგებლოაო, და სხვანი,—ამ გვარი აყინება სრულებით პასუხი არ არას საქმის შემომოყვანილი გარემოებისა და მიეგვანება შემდეგ მაგალითსა.

მრთი ვინმე ემზადებოდა ავლაბრის ხიდიღვან (ქუთაისელს შეუძლიან ქუთაისური ხიდი წარმოიდგინოს) გადახტომას წყალში საბანაოდ და მეორე ურჩევდა ხიფათს ნუ ეძლევიო, რადგან ცურვა არ იცოო; ამ დროს მოესწრო რადენიმე განუსჯელად მოლაპარაკე და ერთიც მადა-ყნოსვა გაძლიერებული კაცი. ამან დიდად უქო ბანაობის სარგებლობა, საქმეც გაუადვილა მხოლოდ იმ პირობით კი რომ ჯიბე ამას ჩაბაროს; განუსჯელად მოლაპარაკენი ამას დავმოწმენ, საქმე გადასწყდა და შესრულდა. ღაირჩო ბანაობის მოსურნე, მჩხეველი კი ჯიბეს ჩაბლუს. მულ-შემეტკივარმა ვინმე უსაყვედურა ამას, რომ შენც იცოდი იმ უბედურს ცურვის გაცება არა ჰქონდაო და რად ურჩიე ბანაობაო. ამაზედ მოჰყვა, ბატონო, ეს ახირებული კაცი და უმტკიცებს ჭირას-უფლებს, რომ ვინც ცურვა არ იცის, წყალშიაც არ უნდა გადახტეს;

რომ ბანაობის მსურველთ უმეტესობამ ცურვა იცის და სარგებლობასაც ჰხდადეს, და სხვანი,—ამასზედ მოაყოლა თეორია ამ დასაწყისით: (შეადარედ პირველი სტრიქონები „ივერიის“ № 122—ბანაობის ავ-კარგიანობის დაფასება და აწონვა ვისაც უნდა, იმან ყველაზედ უწინარეს ბუნება უნდა გაუსინჯოს თვითონ ბანაობასა იმ მხრით: უხდება თუ არა ჯანმრთელობას. ამის გარეთ ყოველი სჯა და ლაპარაკი (მაგალითებრ ცურვის უცოდნელობაზედ) უქმია და უთავ-ბოლო.

რაკი მაგალითი მოგონილია და არა ნამდვილი, ამისთვის ნება მივეცი ჩემს თავს წარმომედგინა იმისთანა ახირებული კაცი, რომელსაც ცოტაოდენი სწავლა აქვს, მაგრამ ამ სწავლას ისე არა ხმარობს, როგორც სოფიზმებსა და საქმის მიუყენებელ ავტორიტეტებსა.

მაშ რა დაშთენიათ ნებისით და უნებლიედ ბანკის დამფუძნებელ და აგრეთვე ურთი-ერთ თავდებობის წევრთა? დაშთენიათ ის-და, რომ ცნობაერად გულ მოდგინედ და ფხიზლად ადვენონ თვალი და გონება ბანკების წარმოებას; ზედამხედველი კამიტეტის წევრებად აირჩიონ ისეთი პირები, რომელნიც ან იცნობდნენ საქმეს, ან გაცნობა შეეძლოსთ და სურვილი აღვიარონ, და მზად იყვნენ ყოველი წარმოების ნაკულუღევანება და დანიშნულს წრეს გარდახდომა პირ-უთნებელად ამხილონ და კრებასაც მოახსენონ ხოლმე, თორემ...

ალექსი კვალიაშვილი.

14 ივნისს 1866 წელსა.

ქ. გორი.

თეატრი და მუსიკა.

ქაურმა ოპერამ კიდევ დაასრულა თავისი წარმოდგენები—წარსულს შანსკვეს 20 ამ თვისას უკანასკნელი წარმოდგენა იყო გამართული. საზოგადოთ ამ სეზონში ოპერა ბ. ფილოკეს ცუდათ მიჯყავდა, თუძე 24,000 მან. დეპუღობდა მთავრობისაგან სუბსიდიით. მხოლოთ ერთად ერთი არტისტი—მომედრალი ეყანდა ბ-ნს ფილოკეს და ისიც ამ ბოლქს დროში. ეტ არის ბ-ნი ბორისოვი, საიმპერატორთ თეატრის არტისტი. 20 აწილიდან 20 ივნისამდე გამართული იქმნა სულ 51 წარმოდგენა. ამ 51 წარმოდგენაში სულ თარქმეტო

ოქერა იყო ნათამაში; მაგალითად: კარმენი 6 ჯერ, მახუბა 4-ს, ნეგინ 2—სევილიელი დალაქი 5—მაკკავეი 5. ჯიკონდა 4 ჯერ. დემონი 3. გალკა. 3—
 ქაუსტი, ყიზნ ზა ცარია ორჯერ რიგოლეტო, ნორმა, აფრიკანკა, ერნანი ორ-ორჯერ, რუსალკა და გუნქოტი თვითო ჯერ.

საზოგადოთ ამ სეზონში ბ-ნს ფითოეკს აკლდა ბევრი სიმება—სრულებით არ ეყანდა კონტრ-აღტო, სოპრანო, და პირველი ბარიტანი—სოროზედ სომ სულ არ ითქმის-რა.

სასურველად რომ იმ დიდ სუბსიდიასთან, ბ-ნმა ფითოეკმა სეირიანი დასა იყოლაოს ხალძე, თორემ ცუდი ესეები ცუდს სიმებს ყრთან ბ-ნი ფითოეკის შესახებ.—

სმა წასული ბარიტონი.

ბეკის ჩვენს მკითხველს ესსამებათ და უსახვო ვიდრე აქაურ რუსულ სჯუნაზედ არტისტი—ქალი ელი-საკეტა გორეკა, რომელიც ამ ხანებში ბერდინში იმეოფებს და დიდს აღტაცებით მიღებულია გერმანიის დელა-ქალაქში. გორეკას პირველი დებიუტად აუჩქვია მანა სტუარტის როლი, ამავე სახელის პიესაში, თხუ-ელეა შილდერისა. პატივცემული არტისტი—ქალი, მანა სტუარტის როლს თურმე რუსულ ენაზე სიამა-შობდა, მაგრამ ამ გარემოებას დადი გნება არ მოუტანა, როგორც მოთამაშესათვის, აგრეთვე მსურველებსათვის. ყველა ნემცერში გახეთუბი დიდის ქებით ის-სეიებენ ელიზავეტა გორეკას და ყველანი ერთ სივ ამტკიცებენ, რომ იგი პირველი დამატებული არტი-სტი ქალი არის, რომელმაც ისეთის სინამდვილით და უტყუარობით გამოხატა გენიოსი დრამატურტის გმირი ქალი, და რომლის ბადალი ჯერ გერმანიელებს არ უჩანავსო.

როგორც ამბობენ გამოჩენილი რუსის არტისტი ასდრეკეი, ბურღაი იანტაში გარდაცვალებულა. ასდრეკე-ბურღაის სიკვდილი დიდს ვნებას მოუტანს რუსულ კორეულ სტენას რადგან გამოჩენილი სამარონის შემ-დგბ. მის მაგიერობა მოლოდ ბურღაის შემდო. უმე-ტესი საწილი ჩვენი მკითხველთა უმჯობედ იცნობდნენ ბურღაის სტენაზედ. განსვენებული თბილისში სპირად თამაშობდა, და ამ წარსულს მანსუკაში ორი კონკრე-ტი გამართა ჩვენ არწრუნასეულ თეატრში.

სმა სხვა-და-სხვა კუთხიდან

„თეატრის“ კორესპონდენცია.

დ. ლანჩუთი. 1886 წ. ივნისის 22-ს.

არ ვიტყვი უხსოვარის დროდამ და ეს კი გვბედით შემძლია აღვიარო, რომ გურულები ერთს კაცობრიობის ჩირქის წამცხებელ სენს-სიმ-თვრალეს მოცილებული იყვნენ 1850 — 1870 წლამდე. ეს ჩემის ფიქრით მიეწერებოდა ღვინის სიძვირეს და გასაქირ მისვლა-მოსვლას სხვა მხარე-ების პირებთან. ამ ღვინის სიძვირის დროს—ოცი წლის განმავლობაში ხალხს სულ სხვა ლტოლვი-ლება ჰქონდა; მაგრამ ვერც ის ითქმის, რომ ყვე-ლა მათი ლტოლვილება კარგი ყოფილიყო. თუმცა ამ ოცი წლის ღვინის ცუდ მოსავალმა, ამ ოც წელში სიმთვრალე თითქმის მოსპო, 1870 წლი-დამ ღვინის მოსავალმა თან-და-თან იმატა. და ღვი-ნის წარმოება უკეთ წავიდა. ბოლოს ოსმალეთის საზღვარი გურულებს დროთა ვითარებამ მოაშორა. ქურდობა, კაცის ცარცვა-გლეჯა დიდ სამძიმო სა-ქმით შეექმნათ გურულებს. ღვინის მოსავალმა, როგორც მოვიხსენეთ, ერთად იმატა და მეორეთ ასეც რო არ იყოს, რადგან რკინის გზის შემწეო-ბით ზემოთიდან ღვინის მოტანა გაუადვილდათ,— დღეს ჩვენში განსაკუთრებით დ. ლანჩუთში ღვი-ნოს თითქმის იგივე ფასი ადევს, როგორც იმე-რეთში. მართის სიტყვით ხალხის მდგომარეობამ ამ მხრით ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ ამ კაცის და-მარკოლებელმა სენმა-სიმთვრალემ თუ როგორი ფართო გზა იჩინა გურიის სხვა-და-სხვა მაზრებში და ზოგიერთ სოფლებში, მას კარგი ენა-მქვერა კაცი უნდა, რომ გამოთქვას; თვე არ გავა ისე, რომ არ გაიგონო, რომ რომელიმე „პრანქიას“ და თვალ-გასისხლიანებულ ღვინით მთვრალს ვინმე საწყალთაგანი სადმე კრებაში, ან ქორწილში ან არ მოეკლას და ან ისე არ დაეკრას, რომ მათი ცოლ-შვილი ულუკმა-პუროთ არ დარჩენილიყოს. ბევრი ყოფილა იმისთინა შემთხვევა, რომ სადმე სოფელში ღვინის სმაზედ აყალ-მაყალი მოსვლიათ და, როდესაც ერთმა ბედკრულმა ვერ შესძლო ყან-წის დატლა, ბევრი კეტება უთავაზვებიათ მხარ-ბე-ჭებზედ და ხანდის-ხან პატრონისთვისაც კი ჩაუბა-რებიათ

ბი ერთი დღად სამწუხარო მაგის მავალითი, რომელიც მოხდა დ. ლანჩხუთში ამ იენისის მ-ს ბ-ნი—ბნანია ბ- სიმთვრალის დროს მოკლა ჯოხის თავზედ დარტყმით მელექნე მ. ივანე მაშინ, როგორც საზოგადოთ მიღებულია, დამნაშავე დაიჭირეს და წინა-გამოკვლევის პროტოკოლითურთ წარუდგინეს სადაც ჯერ არს. მოკლულის გვამის გასასინჯავათ და შესამოწმებლად მობრძანდა ოსტრეგეთის მ.ზ-რის ექიმი ბ-ნი ლევილიანი. შემდეგ თვით უფ. ჩახატაურის მომრიგებელი ბ-ნი მფიმოვიცი.

გურულოვანი.

ნ ა რ ე გ ი

„კითხვა და პასუხები“

ბატონო, რედაქტორო!

0

მედი მაქვს ამ ჩემს წერილს ადგილს დაუთმობთ თქვენს ჰატივტემულ გაზეთში, რადგან თქვენ თვათაზე შემოვიღათ თქვენს გაზეთში ისეთი განყოფილება, სასულდობრ: „კითხვა და პასუხები,“ სადაც ყველა თქვენი გაზეთის სელის მომწერლებს თავისუფლად შეუძლიან სწორად ის, რასაც საჭიროდ და საგულდისხმოდ დაინახავენ. მეც, ერთს თქვენი გაზეთის სელის მომწერთაგანს მსურს მივსტე ერთი საგულდისხმა კითხვა ყველა თქვენი გაზეთის მკითხველს.

საქმე იმაშია, რომ მე სშირად დავსწრებოვარ ქართულს და აგრეთვე რუსულს წარმოდგენებს, სადაც ნება უნებლიედ გონებაში ამიღებია შემდეგი კითხვა: „ტრმნობს თუ არა არტისტი რასაც თამაშობს, ანუ რასა ტრმნობს არტისტი თამაშობის დროს?“ ვირველ შესვლით თითქმის ადვილია ამაზედ პასუხის მიცემა, მაგრამ მე საქმემ სულ სხვა დამახსება. ბევრჯერ ვნდილ-კან, ბევრჯერ მიფიქრნია მაგრამ ბოლოს ჟეროვან დასკვნამდინ მაინც ვერ მივსულვარ. ამის მიზეზი რა თქმა უნდა ერთის მხრით იმაშია, რომ მე აკტიორი არა ვარ და მამასადამე ჩემს თავზედ არ გამომიდნია ის, რის ახსნაც მსურდა. ეს გარემოება რა თქმა უნდა ბევრად მამრკალებდა. ამიტომ ბატონო, რედაქტორო, მე თქვენის გაზეთის საშავლობით უნდა მივმართო

ყველა ჩვენ ქართულ არტისტებს, რათა ვინმემ მათგანმ, ამისხსას ეს კითხვა..

ვირადამე ბევრს დავკითხეებოვარ, ბევრიც წამიკითხავს, ამ სვანზე მაგრამ ჟეროვანი პასუხი ვიქმარებ არ მღირსება.

მე თუქმდა ვსთქვი, რომ ქართული არტისტები კისხნიან ზემა დასხმულ კითხვას, მექვი, მაგრამ ამით ამანც ის არ გამოდის, რომ მხოლოთ არტისტებს შეუძლიათ ამ კითხვის გადაწყვეტა—როგორც ყოველი ფისიხელი არტისტი, აგრეთვე ყველა განვითარებული კაცი ძალ-ღონისამებრ წარმოსთქვამს თავის აზრს, მით უფრო, რომ ეც სვანი მომეტებულად კეთუხის ფისიხლოგოურს გამოკვლევას—მამ პატონო, რედაქტორო, შემიღიან იმედი ვიქნისო, რომ თქვენ ადგილს მისტემ ჩემს წერილს და ამასთანავე სხვებსაც, ვინც ვი მოისურვებს პასუხის გაცემას, ადგილს არ დაუქვრთ.

ბოლოს ეს უნდა ვსთქვა, რომ რაც უფრო ძალე მივიღებ ამ სვანზედ პასუხს მით უკეთესია, რადგან ეს კითხვა არამც თუ მარტო ჩემთვის, არამედ, ვვონებ, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს. ამასაც დავუმატებ, რომ პასუხის მიცემაში არვინ არ უნდა მოარტხობდეს. ვისაც რა შეუძლიან ისიც კარგია და თუ ამასაც მოვიგონებთ, რომ გაზეთში ადგილი ყველას აქვს დათმობილი, მაშინ მოარტხობას და სინათორეს ადგილი არ უნდა ქქონდეს.

თქვენი ხელის მომწერი № 171.—შვილი.

გვირიდან გვირამდე

◆◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი დამსახურებული მკვილი მწერალი თ. რაფ. ერისთავი რუსულ-ქართულ ლექსიკონს ადგენსო. ამ ლექსიკონში მთლიან შეტანილია საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი და თვით რაფ. ერისთავისაგან შედგენილი და გამოცემული რუსულ-ქართულ-ლათინურ მცენარეთ ლექსიკონი, რომელიც 1873 წ. კავასისის სამეურნეო საზოგადოების წერილებში დაიბეჭდა და 1882 წ. ალექსანდრე კისკობოზმა მეორედ ცალკეც გამოსცა.

ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ჩვენს უხუცეს პოეტთან და მან სთქვა: რომ ჩემი ლექსიკონი ჩუბინოვის უკანასკნელს ლექსიკონზე ბევრათ დილია და მდიდარიო. ჩუბინოვის ლექსიკონზე ორჯერ უმეტესიაო. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ფრიად სასიამოვნო შრომა მალე შეესრულებინოს და მით აღესრულებინოს ჩვენს

საჭიროებაცა, თორემ დღევანდლამდისაც ერთი ხეირიანი ლექსი არ გვაქვს, რომ იგი წარმოადგენდეს სრულს კრებულს ქართულის ენისას.

◆◆ ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთ ნაწერი ხუცური წიგნი. ხუცური ასოების გარეგანი მსგავსება და თვისებები ერთ რაღაც საოცარს და უცნაურს საგანს წარმოადგენს. წიგნი დაწერილია პერგამენტზედ, ასოებში ძალიან ხშირად არს ხმარებული ასეთი ასოები, რომელნიც ერთის შემდეგით ბერძნულს, სირიულს და ებრაულს წაჭკვანან. ეს სახარება თავის პალიოგრაფიით მეტის-მეტათ განსწავლდება როცა რც მეშვიდეს საუკუნის ხელთან, ისევე მათესი, მეოთხედის და მთლიან შემდეგს საუკუნეების ხელთანაცა. ჩვენის თქრით ეს წიგნი დიდად საუკრადღებოა ჩვენთვის და განსაკუთრებით იმათვის ვინც ჩვენის ენის პალიოგრაფიის შესწავლას მისდევენ.

ამ წიგნის შესახებ ამ დღეებში ცნობები გადაეცემა ჩვენს ისტორიკოს და არხელოგს დ. ბაქრაძეს.

◆◆ ჩვენს ხელოსან ტალხნ ღიდი ნაცვრა ისმის იმის შესახებ, რომ მათი სახელოსნო სამართველოს წესდება და საგლეხო გარდასახადის სამართველოს წესდება ქართულათ გადმოითარგმნოს და ცალკე წიგნებთ დაიბეჭდოს. უამწიგნებოთ ჩვენს საბრალო მეშუეს მრავალი გააძვერა ვითომც და ხელოსნობის თავი კაცები აჯუჯოლებენ და ხშირად 10 მანეთს მაგიერ 25 მ. ახდვიენებენ. ამას გარდა ამ წესდებებში ბევრი ისეთი რამეებია შეტანილი და დამტკიცებული უმაღლესის მთავრობისაგან, რომელიც საჭიროა, რომ ყოველ მუშა ხელოსანმა ზეპირათ იცოდეს და მით ხელმძღვანელობდეს, როცა მას რამე დასჭირდება.

ესლა ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ წესდებების თარგმანს ორი უმაწილი კაცი შესდგომია და როცა რც ისმის ორივე წესდებები ცალკე წიგნათაც დაიბეჭდება.

რამმ-რუმი

ზღიანბემ მკეადონისამ როდესაც ღაცონია დაიწერო, ასეთი ბართია მისწერა ღაცონიელებს: როგორც გსურთ მოვიდე თქვენთან: როგორც მტერი, თუ როგორც მოყვარული?

— არც მოყვარულ და არც მტრად! უბასუხეს ღაცონიელებს.

გამოჩენილი მეტეტელოსი ხშირად ამბობდა: მე რომ დარწმუნებული ვიყო რომ ჩემმა ტანისამოსმა ეკვლა ჩემი საიდუმლო იცისო, მამინათვე ცეცხლში ჩაუჯდებო...

ერთხელ სიმონიძმა სადილზედ სთქვა: ხშირად ბედი მისწევლია ჩემი ენის გამოგო, ხოლო არავის არა უთქვამს-რა, როდესაც ჩემად ვუთფილვარო—

კვირა დღის საღამოა, მთელი ქალაქი სიციხეების გამო მუშტადისა და მის ასლო-მასლო ზღებშია გატრეფილი: ალექსანდროვის ბღში თითქმის ჩამი-ჩემი არ არის, მსოლოდ ერთ სკამეკათაცანსკედ ზის ერთი ღიბანის სოფლიდგან ჩამოსული თ...-შვილი და გამოეეეეეულსავით აქეთ-იქით იუურება.

ამ დროს გამოარა ერთმა კინტომ, მისხედ მოახედა, შესედე რომ არავინ იყო ბღში, ბაიუშით მარტოდ მჯდომ თავადი-შვილს მოჭკრა თვალი და ცატეებით წამოიძასა: „ააა!“—რადგა ეშმაკურმა ახრამა გაურბინა თავში და მტვრევით და სხსცილო ღმეჭით მივიდა თ...-შვილთან.

— კინაზ! შენი ღმერთის ჭირშიე, გამაგებისე ერთი, რამდენი სხათია ესლა?

— რვას ოცი წუთი აკლია.

— თუ მძა ხარ! მართლა! ერთი სიტყვც კინაზ-ჯან, რვა შესრულდეს თუ არა, ერთი ღოთიანად აბრ-გუნეს ამოუსვი, სთქვა, კალთები ააწია და მოჭკურცხლა კინტომ.

— როგორ თუ ამოუსვი, აი დედი-ჩემის ღმერთსა!.. კის უბედაე, შეწწწის შვილო?!.. შეჯვირა გაბრახე-ბულბა თ...-შვილმა, ხანჯადეს ხელი გაივრა და დეეეკვან უკან კინტოს.

არ გაუვლია სულ ათიოდე ნაბიჯი, რომ მქარე კინტო შემოეეწრა წინ, დანახა, რომ თ...-შვილი კინტოს მისდევდა და შეაქენა.

— ჯა, კინაზ, ღმერთები ხომ არ გაწუხებენ, ვის მისდევ?

— როგორ თუ ვის! ეე წუწწის შვილი, ეგა! მიუეხეებე მაგას!.. არა, როგორ გაბედა, როგორ გამიბედა-მეთქი, შენ გეეითხები.

— დაიცა, დაიცა, კინაზ-ჯან! დალოცვილო ბღუ-ქენა დავითა ჩაგეულახვას, რამოდენასა ჭეეირი! ჯაა, ეშმაკები კონხილას ხომ არ გეთამაშებიან? გამაგებინე ერთი რა იყო და, დალოცვილო!

— როგორ რა იყო, რა იყო და ის იყო, რომ სხათი მკითხა, რვას ოცი წუთი აკლია მეთქი და რომ შესრულდეს, აბრგუნეს ამოუსვიო. ეე. მ... ძაღლი, ეგა, როგორ გამიბედა, ჯა?

— ესლა რამდენი სხათია, კინაზო? ღმეშვილებითა ჭკითხა კინტომ აზღიბილებულს თ...შვილს!

— ხუთი წუთი აკლია რვას.

— დაღრცვილთა, მერე რა გაჩქარებდა, ჯერ ხომ არ შესრულდებოდა. როცა შესრულდება, შენც ამოუსვი რაღა. წინარად წარმოასტეჳ კინტამ და განშორდა გაქვებულს თავადიშვილს.

— ?!

დალაქი იეშია

ერთხელ წამთარში ორა ზენი უდიდესი ლექსნი: *ი...* და *ბ...* გაყინულზედ მიდიოდნენ. უენრად ა... გაყინულზედ ფგნა გაუსსლტა და წაიქცა. *ი...* შიამსა:

— ანა, რაღა ხართ... ეგეთი ფსიკიანი—ნელა ვერ გაიფიდიო?

სწორედ ამ დროს *ი...* გაუსსლტა ფგნა და ისე მიიმედა წაიქცა, რომ ადგომაც გაუძნელდა; მასინ ა... დიმილით მიუგო:

— მეტად დაწმინდებია... ხართ... თუ ერთხელ წაიქცით, ადგომას აღარ ჭებოქრობთო!

იანი

თავადი *ო. დ.*, როცა... მასრის უფროსად იყო, ერთს დღეს დილის ცხრა საათზედ შევიდა მის სახლში *გ. თ.*— შეილი და მოურიდებლათ შირდაზიბ მის ოთახში გასწია. მასრის უფროსმა გაჯავრებით შიამსა:

— როგორ გბედა ესე ადრე და ისიც უკითხავად შემოსულათ?!

— უკანდავად, ბატონის-შვილო, მე ვიცი თქვენ დიდი ვაცი ბრძანდებით, მაგრამ მე დ...ნი კი არ გხლებივარ, არამედ მასრის უფროსთან მიველიო, უნასუხს *გ. თ.*— შეილმა.

ილიყო სენაყელი

ჭკუის საღარიბო



იმდიდრე ხშირად ხდება ხალხე სიღარიბის შედეგად.

(სენეკა)

ის მაღე ვერ მიაღწევს ღირსეულებასებს, კინც მარტო ფულისათვის შრომობს.

(მიქელ ანჯელო)

რად მიწდა ხმალი, თუნდ იყოს მკურელი, თუ სიამაღლისათვის დამიხლუნდება?

(ილია ჭავჭავაძე)

დეე ვისაც ჭსურს ქვეყნიერების ამაღლება, ეყოლად უწინარეს თვითონ ამაღლდეს.

(სოკრათი)

მას ნულან ვსტირით, რაც დამარსულა,

რაც უწყაღას დროთ ხელთ დანთქმულა!

(ილია ჭავჭავაძე)

მოვესთა გაურა გამსტავსე ჯოჯოხეთის ალეხს. (ქილილა და დამანასანა)

კათეჯრის“ ფოსტა

ბ—სს „ნუნელას წინასწარმეტყველობის“ ავტორის თქენი პაწია მოთხრობა სამუშაოდ ვერ დაიბეჭდება. მიზეზს ეხლავე მოგახსენებთ. ყოველ ნაწარმოებს, მეტადრე ზეღერისტიულს, მაგალითად: მოთხრობას, რომას, პოემას პიესას და სხვას აუცილებლად რამე არაკი (ფაბულა) უნდა ჭქონდეს, რომელიც უნდა იწვევდეს მკითხველის ყურადღებას ისე, რომ ყოველი ახალი სტრიქონის შემდეგ ინტერესი თან და თან იზრდებოდეს, მოქმედება *CRESCENDO* მიდიოდეს;—გარდა ამისა მოთხრობის ენაც და კილოც სულ სხვა ნაირია—ესე იგი სუბტი, ადვილი გასაგები: გრძობიერი, მოკლე და მარტვი. თქენი მოთხრობა კი ამ პირობებს მოკლებულია. რის გამოც მოთხრობა ვერ აკმაყოფილებს, არამც თუ გონება გახსნილ კაცს არამედ უბრალო მკითხველსაც. ჩვენ ამით ის როდი გვიწინა ვსთქვათ რომ თქვენ არ შეგამძლით მოთხრობების წერა, სრულგობილად არა ჩვენ დარწმუნებული ვართ და გვეყარა ვადევ, რომ თუ განაგრძობთ და არ აჩქარდებით, უეჭველად მიაღწევთ თქენს წადილს. თქვენს პაწიას მოთხრობას დაკვირვება და ნიჭი ეყოება. სცადეთ ვადევ, ხოლო ზემოსხსენებული პირობები არ დაივიწყეთ. იმედი გვაქვს, რომ მოგვიგონებთ...

ბ—სს სიმან გოგლინიძეს. თქენი კორესპონდენცია „ერუ-მორწმუნებაზედ“ ვერ დაიბეჭდება, რადგან თქენი კორესპონდენცია სრულგობილად მოკლებულია კორესპონდენციაის ხასიათს; მეორე—თქენს სწერით მდამიო ხაღისის ცრუ-მორწმუნებაზედ და თქენს კი თვითონ გამსტავალული ყოფილხართ ცრუ-მორწმუნებით, მესამე—თქვენ მეტის მეტად აჭიანურებთ საქმეს და მეოთხე—ერთს რჩევას მოგცემთ: კორესპონდენციაის შინაარსი უთუთო რამე ფაქტზედ უნდა იყოს ატებული და არამც და არამც არ ჭტობადეს ფრაგული გოგის მორეე ში. სცადეთ ვადევ იქნება გამოდგეს.

ბ—სს ლ—ჭ—ს. კორესპონდენციები სასურველია, ხოლო ფაქტები და მარტო ფაქტები. მოიგონეთ პისარევის სიტყვები: *Слова, илюзии пропадают, но факты остаются!*.. ნუ დაზვიფნიებთ. სცადეთ ვადევ.

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერ გ. გუნისი.

Типография Гр. Чарквиани. სტამბა გრ. ჩარკვიანისა.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 29 июня.